№ 113

კვირა, 28 მაისი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 113

კვირა, 28 მაისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 31 მაისს.

ამ ნომერთან ერთად ტფილისის ხელის-მომწერთ ურიგდებათ „ანგარიში“ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მოქმედებისა 1899 წელს.

28 და 29 მაისს, 1900 წელს,

**მუშტაიდის ბაღში**

დანიშნულია „წერა კით. გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ

**სახალხო სეირნობა**

საქველ-მოქმედო **ბაზრითურთ**

ვაჭრობა დაიწყება შუადღის 12 საათ. დ გათავდ. საღამოს 10 ს.

სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკა და ზურნა.

ბავშვებისათვის გამართება სხვა და-სხვა სათამაშოები და გასართობები.

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კაპ.

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სიფილისი, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**. 7½—8 საათ.

**მ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

კომიტეტი ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის დამხმარებელ საზოგადოებისა,

თავისის ფონდის გასაძლიერებლად, 4 ივნისს ამა წლისას მუშტაიდის ბაღში გამართავს

**სახალხო სეირნობას ბაზრითურთ,**

რისათვისაც თხოვნით მიჰმართავს ყველას, ვინც-კი ამ კეთილს საქმეს თანაუგრძნობს, დაეხმარნენ და თავისი წვლილი არ დაიშურონ, ფულით იქნება იგი თუ ნივთების შეწირვით. შეწირულებანი კნ. ბ. გ. ბარათაშვილისას გაეგზავნება, რეუტოვის ქუჩაზედ, საკუთარი სახლი.

კომიტეტს სრული იმედი აქვს, რომ „საზოგადოების“ კეთილის მყოფელთ, რომელთაც შემოწირულებათა შეკრება აღუთქვეს, ყოველგან თანაგრძნობით მიეგებებიან და თავისს წვლილს არავინ დაუჭერს.

(3—უ.—1)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**პ. ი. ჯიჯინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ საათ. სიფილისი.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი-4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

**ბორჯომში**

დასრულდა ახალი შენობა ცენტრალურ სასტუმროსათვის. სასტუმრო 15 თიბათვიდგან

**გაიხსნება.**

იგი რემერტოვის პარკთანაა, 25 ოთახს შეიცავს და მშვენივრად არის მოწყობილი. შეიძლება სასტუმრო იჯარითაც გაიცეს. (4—116—4)

**შემოწირულება**

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

ნინო ბესარიონის ასულის ხელთუფლიშვილის მიერ შეკრებილი:

ეფრ. ქაიხოს. ასულმა კლდიაშვილისამ—ნახევარი დუჟინი ნაქარგი ხილის სალფეტკი, ანნა სიმ. ასულმა პეტრიაშვილისამ—ორი სურათი და სასუხრეზედ დასაფარებელი სალფეტკი, ნინო პეტ. ასულმა მთავრიშვილისამ—ხავერდის ფთით და კრენთილით ნაკერი წერილების ჩასაწყობი და საათის ბუდე, ნატ. რაჟ. ასულმა გიგაურმა—ჭიქა ჩასადგმელით, მელ. ლუარ. ასულმა გველესიანისამ—წყვილი მშვენიერი სადაფის შანდალი და სადაფი საპირფარეშო სტოლისათვის, პატარა თინა გველესიანმა—სადაფის საფერფლე, ნინო ილ. ასულმა მღვდლიევისამ—საკარაქე, მარიამ გიორ. ასულმა ანჯაფარიძისამ—ნახევარი დუჟინი ნაქარგი ხილის სალფეტკი, სალ. ივ. ასულმა კერესელიძემ—ფრაჟის საკარაქე, ნადეჟ. გიორ. ასულმა მაჭავარიანისამ—წყვილი ვაზა და ყვავილის დასადები ფაიანსის ფიცარი, ელ. ბეს. ასულმა ხელთუფლიშვილმა—საკარაქე, კნ. მარ. სამ. ასულმა აბაშიძემ—მინაქრის ბროშკა მარგალიტებით შემკული, ბარ. იოს. ასულმა ვოლსკიმ—სათუთუნე და ლიტრა ყვავილებისათვის, ბარ. ბარის. ასულმა მეძმარიაშვილმა—ბაკარას საშაქრე, ანას. გრ. ასულმა კლდიაშვილმა—მაიალიკის საჩაიეს დასადგმელი, ელ. ბეს. ასულმა მდივანმა—საწერელი, ან. ლუარ. ასულმა მეძმარიაშვილმა—ორი მელის ქანდაკი, ანას. დიმ. ასულმა ბაქრაძემ—აბრეშუმის გალსტუკი ვერცხლის გულის ქინძისთავით, მამა ივლიანე აბესაძემ—საათი-გამაღვიძებელი, ზურაბ ივანეს ძემ გველესიანმა—სადაფი სადარბაზო ბარათებისათვის, სადაფი ნივთების ჩასაწყობათ და საფერფლე, მიხ. მოს. ძემ მღვდლიევმა—წყვილი ვაზა და ფარანი, სიმ. მერ. ძემ კვიტაშვილმა—წყვილი ვაზა, სამ. ნიკ. ძემ დათეშიძემ—ნახევარი დუჟინი ხილის სათალი იმერული დანა, პეტ. როს. ძემ სურგულაძემ—ფრაჟეს საშაქრე, მიხ. ომანის ძემ ჩინჩალაძემ—თეფში სადარბაზო ბარათებისათვის, სამ. გიორ. ძემ ყიფიანმა—ფაიფურის სარძევე, გერ. მათ. ძემ ცაგარელმა—წყვილი ვაზა და ფარანი, დიმ. დავ. ძემ ლორთქიფანიძემ—ბროლის კოლო-

# ფელეტონი

**„კვალისა“ და მისის თანამშრომლების პოლემიკური მშვენიერებანი.**

Врачъ, исцѣлись самъ!

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ბ-ნი ჟორდანია კაცთა სიძულვილისა და უსამართლობის უმანკო მსხვერპლად სთვლის თავს. მისს გარშემო, როგორც მას ჰგონია, შეიკრიბნენ თანამედროვე ფარისეველნი, სადუკეველნი, მწიგნობარნი, რომლებიც უსამართლოდ, უმართებულოდ ჰღვრიან მის წმინდა სისხლს! „ჭეშმარიტება (ე. ი. მისი წარმომადგენელი ნ. ჟორდანია) გააკრეს ჯვარზედ! აზრი ნათელი დაჭფლეს მიწაში (სცდილობენ მაინც, დაჰფლან), დაჭფლეს... მქადაგებელი შეურყევლის იმედის, ჭეშმარიტების, გამტკიცების, ცხოვრების გასახლების, შეურაცხჭყვეს, დაამდაბლეს და ეკლის გვირგვინით შეამკეს მისი გენიოსური შუბლი“.

მერე ვინ? ცხოვრების ჩარხის უკან დამტრიალებლებმა, კონსერვატორებმა, ძველის გამაღმერთებლებმა და და ახალის მდევნელებმა, რეტროგრადებმა, ობსკურანტებმა და „მრაკობესებმა“. (იხ. სევ. ჯუ—ლის წერილი), რომლების სახელი მოკლედ „ივერია“ და „მისი თანამშრომლებია“... მაგრამ რა? განა სიბნელეს შეუძლიან ნათელი სძლიოს? განა ძველი ახალს შეჭმუსრავს? განა კონსერვატორი ლიბერალს გაუმკლავდება? არა! მათ შეიძლება როგორმე დროებით გაიმარჯვონ, დროებით იფარფაშონ, მაგრამ სამუდამოდ-კი არა... და აი ცოცხალი მაგალითი ამისა: თუმცა ცხოვრების ნაძირალებმა და „მრაკობესებმა“ ნოე ჟორდანიას ჩამოხსნეს მეფის გვირგვინი, თუმცა დაჰღვარეს მისი წმინდა სისხლი, ჯვარს აცვეს მისი აზრი ნათელი და დაჰფლეს კიდეც, მაგრამ დოჰფლეს... დროებით. ის მაინც აღსდგა, გაცხოველდა და მოევლინა ქვეყანას თვის გენიოსურ წერილებში, რომლებიც „კვალში“ იბეჭდება შემდეგის სათაურით: „გზა და გზა“.

ასეთი წერილები, მათი კილო ისეთი იშვიათი მოვლენაა, ისეთის ღრმა აზრებით, შეუბრალებელ ლოგიკით და უტყუარ ჭეშმარიტებით აღსავსეა, რომ მათი „სახელდახელოდ“, „გაკვრით“ და „გზა-და-გზა“ გარჩევა შეუწყნარებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ბიბლიოგრაფს... „პატა ვინმე“ რომ იყოს ბ-ნი ჟორდანია, ახალის ცხოვრებისა და ახალ საქმის ჩინებული წარმომადგენელი რომ არა ჰბრძანდებოდეს და მისი სახელი რომ არა ჰქუხდეს „ნულების“ სამეფოში (ე. ი. მისი კლაკიორ-შინაყმების სამშობლოში), მაშინ კიდევ ჰო, შემეძლო მისი „პოლემიკურ მშვენიერებათა“ „გზა-და-გზა“ გარჩევა და შენიშვნა; მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჟორდანია სულ სხვა ვინმეა!

მე მეშინიან, რომ მომავალმა ნ. ჟორდანიის ბიოგრაფოსმა (რომელიც განიზრახავს ბროშიურათა სერიის გამოცემას ამ სათაურით „ცხოვრება შესანიშნავთა ქართველთა მოღვაწეთა“) არა სთქვას: ვაი რა გონება დაბრმავებული და წინდაუხედავი ყოფილა ვიღაც „ვართაგავა“, თანამედროვე შესანიშნავის პუბლიცისტისა, რომ ვერ შეუნიშნავს ისეთი შესანიშნავი მოვლენა ქართულს ლიტერატურაში, როგორც ჟორდანიას „გზა-და-გზაა“ და მისთვის არ უძღვნია მადლობით და განცვიფრებით აღსავსე სტრიქონებიო... მაშ „გზა-და-გზის“ შესახებ სხვიმისთვის...

ამ ჩემს წერილში ავღნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ბ-ნი ჟორდანია საზოგადოდ უცოდველია, მაშასადამე პოლემიკაშიაც, რომ მას თავისს დღეში არ წამოსცდენია უშვერი, უხრდელი, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი სიტყვები; რომ ის, პირ-იქით, მოპირდაპირეს პატივისცემით ეპყრობა, თითოეულ მის სიტყვას უკვირდება, ჯეროვანად ჰხსნის და ამნაირად სიმართლეს ყველასათვის ცხადს ჰყოფს; რომ ის ისეთი ფაქიზია ზნეობრივად (როგორც პოლემისტი), რომ მოწინააღმდეგის სუსხიანსა და მკაცრს სიტყვებს მხოლოდ „ნათელ აზრს და უტყუარ ლოგიკას“ უყენებს წინააღმდეგ და არა გინებას და შეურაცხჰყოფას, რომ... რა რომ? ერთის სიტყვით, დავამტკიცებ, რომ ის წმინდა, ფაქიზი და უცოდველი პუბლიცისტ-პოლემისტია, რომელსაც ნება აქვს (ზნეობრივად, რასაკვირველია!) ყველას ლექციები უკითხოს ლიტერატორულ ზომიერებისა, სიფაქიზისა, ჭეშმარიტება-მიუდგომლობისა... მაგალითების საძებნელად შორს არ წავალ და დავასახელებ ჩემს თავს.

ერთხელ როგორღაც რაღაც არ მომეწონა ჟორდანიის ლიტერატურულ მოღვაწეობისა და ეს ჩემი უკმაყოფილება „ივერიის“ ფურცლებზედ გამოვთქვი. მაშინ არაფერი სადავო არა მქონდა ბ-ნ ჟორდანიასთან და, რაც ვთქვი, წრფელის გულით ვთქვი. ჩემს წერილში, მართალია, იყო მკვახე და სუსხიანი სიტყვები, შეიძლება (არა ვმალავ) ზომიერებას გადაცილებული... განსვენებულმა გ. წერეთელმა მიპასუხა და დარიგება მომცა: „ყმაწვილო, ნუ ხარ გულ-ფიცხიო“ და სხვა...მაგრამ, დახეთ, ჟორდანია როგორ მომექცა! ის გ. წერეთლის წერილს უკეთებს პატარა, მაგრამ მრავლის გამომთქმელ შენიშვნას: ბ. „ვარ“-მა თავისი გონებრივი სიღატაკე ხომ დაამტკიცა; ახლა თუ არ დამიმტკიცებს, რომ ჩემი წერილი სხვის წერილებიდგან გადმოწერილია, მაშინ თავისს ზნეობრივ სიღატაკეს დაამტკიცებსო“.

ფი ნივთებისათვის, იას. ივ. ძემ. ნიკოლაიშვილმა—ხის საფერფლე, ბენედ. ვას. ძემ მამფორიამ—ლიმონის ასაღები ვეცხლის ჩანგალი, სილ. თომ. ძემ ხუნდაძემ—ჩარჩო სურათისათვის, სერგეი ისიდ. ძემ როფაქიძემ—ნახევარი დუჟინი მურაბის ლამბაქი და სარძევე, პარ. გიორ. ძემ ჯავროვმა—ვერცხლის მოოქრული სამაჯე, ქრისტინა ვასილის ასულმა გაგუამ—ტილოს არშია, ნინო ბეს. ასულმა ხელთუფშლიშვილმა—საწერელი.

—

**ეფროსინე ლევანის ასულის აგლაძის მიერ მანგლისში შეკრებილი:**

ბარონ მედინმა 2 მან., ვ. ბ. ეკკმა—2 მან. კნ. ერისთავისამ—1 მან., თ. ყავრიშვილისამ 1 მან., ა. ფ. ხუციშვილისამ—1 მან., მ. გოლუბენკომ—1 მან., თავ. კონსტანტინე შერვაშიძემ—1 მან., თვ. მ. შერვაშიძემ—1 მან. 5 კაპ., ზ. ჩიკვაიძემ—1 მან., გარალევიჩმა—1 მან., დ. მაჰავარიანმა—1 მან., ნ. მეიფარიანმა—1 მან., ი. კიკნაძემ—1 მან., ნ. ბაბილუამ—1 მან., ჩენტუკოვმა—1 მან., ა. პაცევიჩმა—1 მან., ბ. ჩიტაძემ—1 მან., მღვ. ბ. ნაკაშიძემ—1 მან., ვ. ნემსაძემ—1 მან. პ. ა. გოლუბენკომ—1 მან., არ. თუმანიანცმა—1 მან., სტ. ვარდოევმა—1 მან., ვ. დიდ-ზურაბოვმა—1 მან., აივაზოვმა—50 კაპ., მ. პ. ჩერნიავსკიმ—50 კაპ., ა. დ. ლომიძემ—50 კაპ., დ. შვედოვმა—50 კაპ., სტ. ი. ტოევოიმ—50 კაპ., გრ. მირზოევმა—50 კაპ., ნ. ს. გრიქუროვმა 50 კაპ., ტერ. მიკირტიჩიანცმა—50 კაპ., ს. ტერ-ყაზაროვმა—50 კაპ., ს. ხრ. ეგანოვმა 50—კაპ., ალ. ს. მარკოვმა—40 კაპ., ტოროშჩინმა 45 კაპ., ნ. ს. მალხაზოვმა 25 კაპ., ტ. ხეტიოვმა—20 კაპ., არ. აკოფოვმა—20 კაპ., ან. ტერ-სალათელოვმა—20 კაპ.

—

**ქეთევან ჟურულის მიერ შეკრებილი ქ. გორში:**

დურმიშხან ჟურულმა—2 მან., იოსებ გიორგის ძე სააკოვმა—2 მან., ნიკოლოოზ იოსების ძე ანდრონიკოვმა—5 მან., პავლე კალაიჯევმა—5 მან., თავ. კონსტანტინე ბაგრატიონ დავიდოვმა—2 მან., ილია ნატროევმა—2 მან., სალომე მიხელსონისამ—1 მან., დავით ტარსაიძემ—1 მან., გიგო ლოლაძემ—1 მან., ნატალია კიკნაძემ—1 მან., უცნობმა—1 მან., ეკატირინე მაყაევისამ—1 მან., თავადმა ლევან ჩიჩუამ—1 მან., მიხეილ ქართველოვმა—1 მან., ნინო მაკარაშვილისამ—სააღდგომო კვერცხი ოქროს ბეჭდით, ერთი წყვილი ლოკოკინას შანდლები და ლოკოკინისავე პრესპაპიე; ბაბალე ლოლაძისამ—ერთი წყვილი ვაზა ყვავილებისა, ერთი პატარა ლამფა და ორი სამარილე; არსენ კალანდაძემ—წერილების საწონი, ზარიტაშვილმა—მინის საშაქრე, სალაღოვმ,—სასალათე, ივანე ბურდიევმა—ფულის ქისა.

—

უადგილობისა გამო დანარჩენ შემომწირველთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

# ახალი ამბავი

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 28, და ხვალ, 29 მაისს, ბაზრობაა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. ბაზრობა და სახალხო სეირნობა გაიმართება მუშტაიდში. ამ ბაზრობისათვის იმისმა გამმართველმა კნ. ო. თ. ჭავჭავაძისამ ბევრი ნივთები მიიღო შემომწირველთაგან. ტფილისს გარდა ნივთები მოვიდა ქუთაისიდგან, ბათუმიდგან, გორიდგან, ოზურგეთიდგან, მანგლისიდგან, განჯიდგან და საქართველოს სხვა ქალაქსა და სოფლიდგან. ნივთების გარდა ფულიც შემოსწირეს. თვით „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამაც" გადასდო ფული ნივთების შესაძენად, ასე რომ წრევანდელ ბაზრობისათვის გაცილებით უფრო ბევრი ნივთი შეიკრიბა, ვიდრე შარშანდლისათვის იყო. ნივთებს შორის ბევრი ძვირფასია: არის ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები, გულის ქინძისთავები, სამაჯურები, მშვენიერი იაპონური და ჩინური ნივთები. ნივთები პეტერბურგიდგანაც დაიბარეს. გაიყიდება ეს ნივთები შედარებით იაფად და ყველასათვის ხელ-მისაწვდენად. ვაჭრობა შუადღის თორმეტ საათზედ დაიწყება და საღამოს 10 საათამდე გასტანს. საზოგადოების გასართობად ბაზრობის გამმართველთ მიიწვიეს ორი სამხედრო მუსიკა და ზურნა. ამას გარდა ბავშვებისათვის გაიმართება სხვა-დასხვა თამაშობა.

ეჭვი არ არის, ქართველი საზოგადოება კვლავინდებურად თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქველ-მოქმედო ბაზრობას და ბლომად დაესწრება.

*** დღეს, 28 მაისს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა წლიური კრებაა დანიშნული.

*** უმართ. სენატს განუმარტავს, რომ ქალაქის შენობათა დაფასება და მათზედ გადასახადის დაწესება ქალაქის თვით-მმართველობის სრულს უფლებას შეადგენს და ამიტომაც საბჭოს გარდაწყვეტილებანი დაფასების შესახებ კანონიერნი არიან და მათ გამო საჩივრის აღძრა აღარ შეიძლებაო.

*** ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი კრება დღესასწაულის გამო, ორშაბათის ნაცვლად, სამშაბათს, 30 მაისს მოხდება. საბჭომ უნდა განიხილოს, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: დადგენილება საბჭოს კომისიისა და ქალაქის გამგეობის შეერთებულ კრებულისა ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ, სავალდებულო დადგენილებანი ცხენის რკინის გზაზე ვაგონების წესიერად მიმოსვლის შესახებ, გამგეობის დადგენილება ინჟენერ ლინდლეის პროექტის გამო ქალაქისათვის წყლის გამოსაყვანად საჭირო წყაროების ამორჩევის შესახებ, არჩევანი სასწავლებელთა კომისიის თავმჯდომარისა და სხვანი.

*** ფინანსთა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ სამინისტროს დაწესებულებებში სამსახურში აღარ მიიღონ ისინი, ვისაც უმაღლესი სწავლა არა აქვს მიღებული; მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში შეიძლება საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებული იქმნას მიღებული.

*** ტფილისის გუბერნატორმა შემდეგი ნიხრი დაამტკიცა ქალაქის გამგეობის გარდაწყვეტილების თანახმად: გირვანქა ძროხის ხორცი—10 კაპ., კამეჩისა—8 კაპ. და ცხვრისა—$8^1/_2$ კაპ.

*** ფინანსთა სამინისტროს რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორისაგან ეკატერინოდარის ქალაქის მოურავს შემდეგი დეპეშა მიუღია: „შავის ზღვის პირად რკინის გზის გაყვანის საქმე ამ მიმდინარე სესსიაში სახელმწიფო საბჭოს ვერ წარედგინება, რადგანაც ახალ რკინის გზის გამყვანთა ამხანაგობა ჩაიშალა და ახალი წინადადება-კი არავის შემოუტანია; ხაზინის ხარჯით-კი ამ გზის გაყვანა განზრახული არ არის".

*** საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს გარდაუწყვეტია ყოველ მაზრაში ორ-ორი სათადარიგო მასწავლებელი იყოლიოს საეკკლესიო სამრევლო სკოლებისათვის, რომ რომელისამე მასწავლებლის ავადმყოფობის დროს სწავლა შეეძლოთ განაგრძონ და ბავშვები არ მოსცდნენ.

*** გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რუსეთში რამდენიმე სატელეგრაფო სკოლა იქმნას დაარსებული. პროექტი ამის შესახებ განსახილველად სატელეგრაფო კრებას წარედგინება, რომელიც მალე იქმნება მოწვეული.

*** კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მ. პ. გაკკელი 26 მაისს სამსახურისა გამო პეტერბურგს წავიდა.

*** ქ. სოხუმში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების განყოფილება იქმნა დაარსებული, რომლის წესდებაც კავკასიის მთავარ-მართებელმა უკვე დაამტკიცა.

*** კავკასიის რკინის გზათა დასათვალიერებლად გუშინ წინ, 26 მაისს, ტფილისიდგან საგანგებო კომისია წავიდა. გზის დათვალიერებას განჯიდგან დაიწყებენ და შემდეგ ბაქოში ჩავლენ კომისსიის წევრნი, საიდაც პეტერბურგიდგან კავკასიის რკინის გზათა უფროსი ე. ლ. ვედენეევი ჩავა.

*** „ტფილისის სახალხო სახლის" ასაშენებელ თანხის გასადიდებლად შეუწირავთ: №№-ს—4000 მან.; ა. ი. მანთაშევს—500 მან.; გრ. ი. მირზოევს, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს და კ. იაკ. ზუბალოვს—თითოეულს 300 მანეთი; ივ. ის. წოვიანოვს და გერ. ოს. თუმაევს—თითოეულს 250 მან.; ნ. ა. ხუდადოვს, გ. ს. ტერ-სტეფანოვს, მ. ო. არამიანცს, ივ. ბ. ლუკასოვს, სავაჭრო სახლს „ის. ეგ. ფითოევი", ქრ. გრ. თუმაევს, გრ. მ. არაფელოვს, ს. კ. ზუბალოვს და არ. ცატუროვს—თითოეულს 200 მან.; დ. იოს. ალელოვს—100 მან.; ზინ. ვასილის ასულს შულგინისას და ექიმს ნ. ნ. ვესელოვზოროვს (შეუგროვებია ნაცნობებში)—თითოეულს 25 მანეთი. სულ შემოუწირავთ 8150 მან. გარდა ამისა, აღუთქვამთ შემოწირვა შემდეგ პირთ: ეკ. მიხ. ნადიროვისას—2000 მან.; კნ. ნ. ე. ქობულაშვილისას—500 მან.; ბ. მელ. ქის. ხანფირას—200 მან.; ს. გ. მირზოევს—100 მანეთი.

*** როგორც გორიდგან სწერენ „ცნ. ფურც."-ს რამდენსამე ქართველს ახალგაზდა ქალს განზრახვა თურმე აქვთ სოფ. ქარელში, ციციშვილების კანტორაში, 10 ივნისს საცეკვაო საღამო გამართონ და მისი სრული შემოსავალი შარშან სეტყვისაგან დაზარალებულ გლეხთა ოჯახებს მოახმარონ.

*** გუშინ, 27 მაისს, ქვაშვეთის ეკკლესიაში მისმა უყოვლად უსამღვდელოესობამ ალავერდის ეპისკოპოსმა უოვლად-სამღვდელო კირიონმა გარდაიხადა წირვა და პანაშვიდი „საქართველოს სამოთხის" და სხვა წიგნების გამომცემის, მოსკოვში ამას წინად გარდაცვალებულის, საბინინის სულის მოსახსენებლად. გალობდა კავსაძის მგალობელთა გუნდი. წირვასა და პანაშვიდს ბევრი ხალხი დაესწრო.

*** მისმა უდიდებულესობამ სპარსეთის შაჰმა მუზაფერ-ედინმა, ტფილისში ყოფნის დროს, პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მე-8 ნაწილის მზრუნველს ვლადიმირ ყაფლანის ძეს ხუნდაძეს უბოძა ოქროს მედალი გულზედ სატარებლად.

*** სოფ. ცაგერი (ლეჩხუმი). 20 მაისს, მახლობელ სოფლიდგან ს. ცაგერში მოდიოდნენ აზ. ა. ჩ.—ნი და ხ. მ.—ნი. მათ უნდა გამოევლოთ მდინარე ცხენის-წყალი და, რადგანაც ხიდი ცოტა მოშორებით იყო, არჩიეს ბორნით გასვლა, რომელიც, აგერ ორი წელია, გააკეთეს აზ. ნ. და ქ. ახ.—მა. რა რომ ბორანი შუაგულ მდინარეში შევიდა, ერთი ნაპირიდგან მოსწყდა ხე, რომელზედაც სინა იყო მიმაგრებული ბორნის დასაკავებლად, და ადიდებულმა წყალმა დიდს მანძილზედ ატარა ბორანი ზედ მჯდომ ხალხით. ბევრი გაი-ვაგლახისა და წვალების შემდეგ, გადარჩა ხალხი დახრჩობას.

ამისთანა შემთხვევა ხშირად ხდება

---

(ვითომც მე მეთქვას, რომ მისი წერილი მოპარულია! მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ათასჯერ გადაღეჭილის გადაღეჭვაა-თქო. მაშ ნ. ჟორდანია მთხოვდა იმის დამტკიცებას, რაც არ მითქვამს და რასაც ვერ დავამტკიცებდი. ამ ნაირად, ჩემი სიტყვების ვადამახინჯებით, მან გონებრივ სიღატაკესთან ერთად ზნეობრივი სიღატაკეც მითავაზა და კისერზედ მომახვია). მეორე და მესამე ჩემს წერილებში (რადგანაც ჟორდანია მთხოვდა პირველ წერილში გამოთქმულ აზრების დასაბუთებას) მოვიყვანე საკმაო საბუთები ჩემის აზრის დასამტკიცებლად. მერე რა? დაარღვია მან ეს საბუთები? გადამახინჯებულად სცნო ის სტრიქონები, მის წერილებიდგან ამოკრეფილი, რომლებიც მე ნიმუშად მოვიყვანე მისის შაბლონური ქადაგებისა და ათასჯერ გადაღეჭილის გადაღეჭვისა? სრულიად არა!

ხმაც არ ამოუღია.. როგორ ამოიღებდა, როდესაც მისი ნაწერები ცხად ჰყოფდა ჩემს შეხედულობას?.. მან თავისს გამართლების, „სიმართლის გამოაშკარავების, მოწინააღმდეგის გამტყუნების და მისი შეცდომის დანახვების" (ამას თხოულობენ ყოველთვის „კვალისტები", იხ. „კვალი მე-17 №-რი, 1900 წ.) ნაცვლად, „კვალის" ფოსტაში და ქვედა სართულში ლანძღვა-გინება მიძღვნა: ბ-ნი „ვარ"-ის (ჩემი ფსევდონიმი იყო) წერილები უაზროაო.. მორჩა და გათავდა! ამ ნაირად ერთის კალმის მოსმით მოინდომა ჩემის საბუთების გაბათილება. „უაზრონი არიანო"!.. ამის თქმა, რასაკვირველია, ადვილია, მაგრამ დამტკიცება-კი ძნელი იყო, რადგანაც ჩემს აზრებს ბ-ნ ჟორდანიის სიტყვებით ვამტკიცებდი, ე. ი. ვამტკიცებდი იმას, რომ ორს მოზრდილ წერილში ბ-ნმა ჟორდანიამ ახალი არაფერი სთქვა, მხოლოდ ათასჯერ გადაღეჭილი გადაღეჭა-მეთქი..

იმ თავხედობისათვის, რომ ეჭვი შევიტანე ნ. ჟორდანიის ნამდვილ ნიჭიერებაზედ, შეუშინებლად გამოვსთქვი ჩემი აზრი მის ლიტერატორულ მოღვაწეობაზედ, მან ხომ უსაბუთოდ, დაუმტკიცებლად მიწყალობა გონებრივ და ზნეობრივ სიღატაკის და უაზრობის დიპლომა.

მაგრამ ბ-ნმა ჟორდანიამ ესეც არ მაკმარა, მან ამ წყალობას ახალი წყალობანი მოადევნა და სხვა-და სხვა ჩემი ზნეობრივ თვისებათა დიპლომები მიწყალობა, მხოლოდ იმ განსხვავებით-კი, რომ პირველი დიპლომი მისი კურთხეული ხელით იყო დაწერილი, სხვანი-კი მისის შინაყმების მარჯვენით. ამ უკანასკნელებში ხელი სხვისი იყო, აზრი და შინაარსი-კი ჟორდანიისა... რა მეთქმის ასეთ სიუხვე-ყურადღების გამო, მადლობის მეტი!

მაგრამ არ შემიძლიან მკითხველს არ გავაცნო შინაარსი ჟორდანიისგან ნაწყალობევ დიპლომებისა, რომლებიც, როგორც „დიდ ვინმეს" ნაბოძარი, ჩემთვის საქებური და საამაყოა?!

„ბ-ნი „ვარი" ავლაბარში გაზრდილი მწერალია... ის ფლიდი, ლაქუცა, უგულო და მატყუარაა" (იხ. „ჩვენი მწერლობის წვრილმანები" ნ. ელიავასი. „კვალი", 1899 წ.)

მართლა, ხომ ღირსეულად დამაჯილდოვა ეპიტეტებით „კვალმა"? ის (ე. ი. „კვალი") ლიტერატურულ ზნეობის, მართებულობისა და პოლემიკურ სიფაქიზის დარაჯი რომ არა ჰბრძანდებოდეს, ყველას ღირსეულად და მიუდგომლად არ აფასებდეს, შეიძლება კიდევ უკეთესი, ულამაზესი და მართებული სიტყვები მოეძებნა „კვალისებურ" ლექსიკონში ჩემდა შესამკობლად. (ლექსიკონები „კვალის" რედაქციაში ბევრია, მაგრამ ყველაზედ კარგი მათ შორის ის არის, რომელიც ნ. ჟორდანიას მუდამ დღე ხელით დააქვს იმისათვის, რომ მეცნიერული ცნობები იქიდგან უხვად და უტყუარად ამოჰკრიბოს).

ახლა ყური დავუგდოთ კიდევ ერთი დიპლომის გადამწერს: ყველაფერში ეტყობა, რომ ეს მწერალი დიდი სწავლული და მეცნიერი უნდა იყოს, სხვა-და-სხვა მეცნიერულ დაწესებულებისა და აკადემიის დიპლომებით დაჯილდოვებული; ეტყობა, რომ ის კანტისებურ ლოგიკის, შექსპირისებურ დაკვირვების და ბაირონისებურ „სატანიურ" სარკაზმის მქონე უნდა ჰბრძანდებოდეს... ამის შემდეგ განა საკვირველია, რომ მან გიდაც (ეს სიტყვა ძალიან უყვართ „კვალისტებს") „ვარის" შესახებ სთქვას: „დასასრულ, ბოდიშს ვიხდით მკითხველებთან, რომ ასეთი ფელეტონების, როგორიც ვართაგავას ფელეტონებია, დაფასებას შევუდექით... მარა რას იზამთ, ბატონებო, ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დამავდების" (იხ. „კვალი" № 49, 1899 წლისა).

დიახ, დიახ, მართალს ჰბრძანებთ, ბ-ნო გოგოლაძევ, მეცნიერების ბუმბერაზო და უკვდავო პარნასელო! რა თქვენი საკადრისი იყო ვიღაც ვართაგავასთვის პასუხი გაგეცათ და თავი შეგეწუხებინათ? მაგრამ რა უნდა გექმნათ! თუმცა თქვენ უკვდავი პარნასელი ბრძანდებით, მაგრამ მაინც ადამიანი ხართ და წერის საღერღელი და ქავილი გაქვთ აშლილი, როგორც ბევრს წვრილ-ფეხა „კვალისტებს", და აბა როგორ შეგეძლოთ მოთმენა, რომ არა დაგეწერათ-თო!.. ვკადნიერდებით და გირჩევთ, ჩვენო უკვდავო პარნასელო, კრიტიკას თავი დაანებოთ (აბა რა თქვენი საკადრისია?) და თქვენს ძირითადს მოწოდებას მისდიოთ, ე. ი. წეროთ მარგალიტსავით ლექსები... ამით ჩვენს ლიტერატურას გაამდიდრებთ და ქალაქელ მეწვრილმანეებსაც გაუადვილებთ ხელობას, რადგანაც თქვენის

ამ შრომის წყალობით და კარგი იქნება, რომ ან კარგად გააკეთებინებდნენ შრომს და ან აღუკრძალავდნენ ხალხს იმით გასვლა-გამოსვლას მდინარეზე.

*** ჯავახეთი. რაც გაზაფხული დადგა, დღე არ გასულა, რომ არ წვიმდეს. უკანასკნელ ორის კვირის განმავლობაში მაინც ნამეტანი მოგვბეზრდით: დღე-ღამე გამუდმებით წვიმს. გზები მალიან ატალახდა და მისვლა-მოსვლა სოფლებში გაჭირვებულია, მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ გაზაფხულის მუშაობას ერთობ შეუშალა ხელი. დასთესონ ტალახში, არ შეიძლება და ამას გარდა დათესილებისაც ეშინიათ ჯავახელებს, რადგან აქაური შავი მიწა ვერ აიტანს ამდენს წვიმას. თუ კიდევ იქმნება ამნაირი ამინდი, ნათესი გაწყალდება და შარშანდელ სეტყვისგან, გვალვისგან და მიწინ ძრისგან გაოხრებული ჯავახეთი, კიდევ უფრო მეტს გაჭირვებაში ჩავარდება.

*** 25 მაისს, გრაფის ქუჩაზედ, ბებია ქალის ლიხტკიმის ბინაზედ ბავშვები მარტოდ-მარტონი თურმე იყვნენ. ლიხტკიმის 10 წლის შვილმა მიშამ რევოლვერი თურმე აიღო და თავისს ამხანაგს 11 წლის ევგენი გორლინსკის უჩვენებდა. რევოლვერი გატენილი ყოფილა, გავარდნილა და გორლინსკი მარჯვენა თეძოში დაუჭრია. როგორც ექიმების შემოწმებიდგანა სჩანს, ჭრილობა საშიში არ არის.

*** ხუთშაბათს, 25 მაისს, საღამოს 11 საათზედ, სამოქალაქო სკოლის მასწავლებელს ბ-ნ ხრამელაშვილს პოლიციის მე-10 ნაწილში მიუყვანია ასე 2 კვირის ბავშვი მამრობითის სქესისა, რომელიც უნახავს საბაღოსნო სკოლის ახლო. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

## ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წლიური კრება.

21 მაისს სოფელ კუხში შესდგა ქუთაისისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წლიური კრება. წრევანდელი კრება ბევრად არაფრით განსხვავდებოდა წარსულ წლის კრებისაგან, გარდა იმისა, რომ ამ კრებას, სამწუხაროდ, ძლიერ ცოტა ინტელიგენტი ამხანაგები დაესწრნენ, რის გამოც კრებას შესამჩნევად გაუძნელდა როგორც რიგიან და გამოცდილ თავმჯდომარის ამორჩევა, ისე წარმოდგენილის წლიურის ანგარიშის განხილვა. კრება დაწყებულად განაცხადა ამხანაგობის მმართველმა ბ-ნმა წერეთელმა ნაშუადღევის ორ საათზედ და წინადადება მისცა წევრებს აერჩიათ თავმჯდომარედ ადგილობრივ მამასახლისის შვილი, ახალგაზდა მასწ. ე. ი. ცაგარეიშვილი, ხოლო მდივნად ვ. ვ. ქუთათელაძე, რაც ყველამ იქ მყოფმა მოიწონა. შემდეგ ბ-ნი წერეთელი შეუდგა ანგარიშის მოხსენებას, მაგრამ, ვიდრე კითხვას დაიწყებდა, განაცხადა, რომ ანგარიშში მოვათავსე მარტო რიცხვები, რის გაგებაც ძნელია წევრებისათვის, და ამიტომ საჭიროა, კრება დაენდოს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, რომელიც ამტკიცებს ანგარიშში, ნაჩვენებ რიცხვების რაოდენობათა სინამდვილესაო. შემდეგ კრებას მოხსენდა ანგარიში რომელიც უკვე დაბეჭდილი იყო „ივერია"-ში.

როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, დღემდე ამხანაგობა შესდგება 1750 წევრისაგან, რომელთაც შემოტანილი აქვთ 23,859 მ. 82 კ. საწევრო ფული მთელის საანგარიშო 1899 წლის განმავლობაში. ამხანაგობას გადაუტრიალებია ფულით თუ ქონებით 314,489 მ. 11 კაპ. და დარჩენია, ყოველ ხარჯის დაფარვის შემდეგ, 8,064 მ. და 11 კაპ.

შემდეგ კრებას მოხსენდა სარევიზიო კომისიის პატარა მოხსენება, რომლიდგანაც სჩანს, რომ ანგარიშში ნაჩვენები რიცხვები ეთანასწორებიან ორდერებსა და სხვა საანგარიშო დავთრებსა. საანგარიშო 1890 წელიწადი ამხანაგობისათვის უნდა ჩაითვალოს ძლიერ მომგებიან წელიწადად. სარევიზიო კომისიის აზრით ამხანაგობის კეთილ-დღეობასა და წინსვლას აბრკოლებს თურმე მხოლოდ საფეიქრო (ქსოვის საქმე). როგორც წარსულ წლებში, ისე წელსაც ამ საქმემ ამხანაგობას მისცა ზარალი რადენიმე ასი მანეთისა (544 მანეთამდე), და ამისათვის ურჩევს იგი საზოგადო კრებას, — შეაჩეროს მთლად საფეიქროს წარმოება.

დასასრულ ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად კომისიამ აღნიშნა ის, რომ სამოქმედო თანხის შოვნა მეტად უძნელდება ამხანაგობას და ის სესხი კი რომელიც კიევის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილებიდგან გამოაქვს, 22 °/o-მდე დაუჯდება. ამისათვის საჭიროა, ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს კრებამ და რამე საშუალება გამონახოს.

ნ. წერეთელი. წელს საფეიქროს ზარალი სრულიადაც არ მიუცია ამხანაგობისათვის, პირიქით რამდენიმე ასს მანეთს მისცემდა მოგებას, ბოროტ-მომქმედს, რომ არ გაექურდა იგი.

საფეიქრო მოგებას თუ არ მოგვცემს, თავისს ხარჯს ყოველთვის დაჰფარავს. ორისა თუ სამის თვის განმავლობაში ქუთაისში 500 მან. ქსოვილები გაიყიდა. ამ დღეებში ტფილისში გახლდით და იქაც შემოგვიკვეთეს სანდო ვაჭრებმა დიდძალი ქსოვილები. ჩვენს საფეიქროს კარგი შედეგი მოელის და აქამდის თუ ცოტად ჰკოჭლობდა ეს საქმე, ეს იმის ბრალია, რომ მე ყველგან ვერ გაწვდი საქმეს. საფეიქრო ვიქონიოთ; ჩვენ ამას გვაიძულებს კიდევ ის გარემოება, რომ აქ ვამუშავებთ 20-მდე ძაფის ამოსახვევ მანქანას, რომლის გაუქმება ჩვენთვის უხერხულია. ამ მანქანებით ვიღებთ ძაფს იმისთანა პარკებიდანაც, რომლების გაყიდვაც ძნელია (ნაჭუჭყარა) და ამ ძაფს ვხმარობთ ქსოვილებისათვის.

იოსებ ქუთათელაძე. ჯერ-ჯერობით ამხანაგობის ერთ-ერთს სიმპატიურს დაწესებულებას საფეიქრო და იმის წარმოება შეადგენს, რომელშიაც ადგილობრივისა თუ არა ადგილობრივ წევრის თუ არა წევრის ქალვაჟნი უსასყიდლოდ სწავლულობენ ძაფის ამოხვევასა და ქსოვის საქმეს. საზოგადოდ სადაც-კი არსებობს მწარმოებელთა ამხანაგობა, როგორც მაგალითად, ჩვენი, დედა-აზრად ისა აქვს დადებული, რომ ყოველი ღონისძიება იხმაროს და გაუყიდოს მწარმოებელს ამხანაგობას მისი ნაწარმოები, რაც შეიძლება, კარგს ფასად, და ხელი შეუწყოს ამა თუ იმ წარმოების წინმსვლელობას. ჩვენი ამხანაგობა-კი ამ დედა-აზრს, ბევრად თუ ცოტად, ასცდა და თავიდგანვე ვაჭრულს გზას დაადგა, ე. ი. ჰყიდულობს ნაწარმოებს და ჰყიდის და მოგებულს ფულს არიგებს დივიდენდად. ჩვენის ამხანაგების ნახევარზედ უმეტესი არა მწარმოებელთაგან შესდგება, რომლებსაც ერთიდგან ათამდე აქვთ შეძენილი პაები; მაშასადამე, იმ მწარმოებლებისათვის, რომლებიც წევრებად არ არიან. და ჩვენგან ჰყიდულობენ თესლს იმ აზრით, რომ შემდეგ ჩვენვე შემოგვიტანონ თავიანთი ნაწარმოები, ისეთივე ვაჭრები ვიქმნებით, როგორიც სხვები: ბ-ნნი ხითაროვი, საფაროვი, ბახტაძე და სხვანი, რომელთაგანაც არავითარს შველასა და სარგებლობას არ გამოელის არა წევრი მეაბრეშუმე. აი ამისათვის არის საჭირო, რომ ჩვენს ამხანაგობას საფეიქრო ჰქონდეს, საიდგანაც არა წევრს მეაბრეშუმესაც შეეძლება ცოტა სარგებლობა და სწავლის შეძენა. მაგრამ აქვე უნდა დავუმატო ისიც, რომ თუ კრება სასარგებლოდ ჰპოვებს საფეიქროს წარმოებისა და მოქმედების განგრძობას, იმ შემთხვევაში ჩვენი საფეიქრო უნდა იქმნას ჯეროვან ნიადაგზედ დამყარებული, თორემ ამ ჟამად ხსენებული საფეიქრო დიდს ცოდნას არ აძლევს მოსწავლეს და ნაქსოვებიც ნაკლები გამოდის.

მოსეშვილი (წევრი სარევიზიო კომ.). სარევიზიო კომისია იმიტომ აღუდგა წინ საფეიქროს, რომ იგი მეტად დიდს ზარალს იძლევა. ის ხარჯი რომ მოვსპოთ, რაც საფეიქროს შესანახად მოსდის ამხანაგობას, ცოტა ხნის შემდეგ შეგვეძლება ძაფის ამოსახვევ ქარხნის გამართვა. ამნაირი ქარხანა, ხომ მოგეხსენებათ, ძლიერ დიდს მოგებას იძლევა. ყველამ იცით, რამდენად დაუჯდა ხონში გამართული ქარხანა მ. სანაძეს. რატომ ჩვენ არ შეგვიძლიან ამისთანა ქარხანა გავმართოთ და როცა პარკის ფასი დაიწევს, მაშინ იგი ძაფად ვაქციოთ და ისე ვყიდოთ?

ცოტა ხნის კამათის შემდეგ, კრებამ დაადგინა დასტოვოს საფეიქრო და არ მოსპოს.

ე. ნანეიშვილი. ამხანაგობის გამგეობამ თითქმის კანონად შემოიღო, რომ თავისი თესლი გაასაღოს სხვადასხვა აგენტების დახმარებით, რომლებიც ბოროტად ჰსარგებლობენ გამგეობის მინდობით და ორჯერ მეტს ფასს ახდევინებენ მეაბრეშუმეებს ერთს კოლოფ თესლში, ვიდრე იგი უღირს ამხანაგობას. განა გამგეობას არ შეუძლიან, რომ თესლის დარიგება-გავრცელება იმათ დაავალოს, რომლებიც ამხანაგობაში ჰმსახურობენ და სხვა და სხვა აგენტებს არ აძლიოს 30—40 კაპ.? ჩემის აზრით, ჩვენ უნდა მივაწოდინოთ მეაბრეშუმეებს საღი თესლი იმ ფასად, რა ფასადაც შეიძინა ამხანაგობამ. გამგეობა-კი თავიდგანვე იმ აზრისა იყო, რომ უსათუოდ მოვიგოთ კოლოფში 30—50 კ. ამხანაგობისაგან ჰყიდულობს მეაბრეშუმე თესლს ნაღდ ფულზედ 2 მ. 50 კ. —3 მანეთამდე, კერძო ვაჭართაგანკი 1 მ. 50 კ.—2 მ., უმეტეს ნაწილად ნისიად და გარდაიხდის ამ ფულს იმ შემთხვევაში, თუ მოსავალი იქნება.

ამ დროს ზოგიერთმა მეაბრეშუმე ამხანაგთაგანმა თხოვნა აღძრა კრების წინაშე, რომ გვეპატიებინა იმათთვის ის ფული, რომელიც უნდა გადაეხადნათ თესლის ფასად, მაგრამ ვერ გადაიხადეს, რადგან თესლი გაუფუჭდათ. კრებამ, ამხანაგობის გამგის წინადადების თანახმად, ეს თხოვნა არ შეიწყნარა.

ნ. წერეთელი (ბ-ნს ნანეიშვილს). მიკვირს, რატომ უფრო მეტს ფასს არ გახდევინებენ ჩვენი აგენტები თქვენ და სხვებსაც. რატომ პირდაპირ ამხანაგობიდგან არ მიგაქვთ თესლი და უცდით იმას, რომ სახლში მოგიტანოს აგენტმა. რაც შეეხება იმას, რომ არა-წევრს მეტს ფასს ვახდევინებთ, ჩვენს მოქმედებას აქ ვაჭრული ხასიათი აქვს და ამისათვის მეტი ფასი უნდა გადახდეს არა თუ არა წევრს, წევრსაც-კი.

იმედი

(შემდეგი იქნება)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. მოხისი (გორის მაზრა). ჩვენსკენ წელს ძლიერ ცივი გაზაფხუ-

---

ლექსების ფურცლები დაუფასებელი რამ იქნება ვაქსების გასახვევად. (მხოლოდ გთხოვთ, „mania grandiosa"-ს არ გაიტაცებინოთ თავი! ესეთი ბედი თქვენს გარდა, მგონი, კანტემირის სატირაში გამოყვანილ პოეტსაც ერგო!..).

ერთხელ ხელოვნების ერთს ღრმა მცოდნესთან მქონდა საუბარი ჩვენ შესანიშნავ მგოსნების შესახებ და, როდესაც თქვენზე ჩამოვარდა სიტყვა, მან წამოიძახა: „О… О!.. Онъ наше восходящее свѣтило; онъ неподрожаемъ; онъ рифмачъ, какъ грачъ!"...

სწორედ ასეთი ჰბრძანდებით, ჩვენო უკვდავო პარნასელო, და ნეტავი იმ რედაქციას, რომელსაც თქვენის ლექსების ბეჭდვა ეღირსება!!!

თავი მომწონს, ბატონებო, რომ ასეთმა შესანიშნავმა „სამებამ" (ჟორდანია, ელიავა, გოგოლაძე) ყურადღება მომაქცია და მშვენიერის დიპლომებით დამაჯილდოვა!

ახალ-ახალი, ცხელ-ცხელი აზრები ჟორდანიასი, ზრდილობა და ლიტერატურული სიფაქიზე ელიავასი და ლოგიკა, აზრი და ხელოვნება გოგოლაძესი — სუყველაფერი ეს ვის არ ააფრთოვანებს!

სამნი არიან,
ტოლნი არიან,
ერთად მიდიან,
მიიმღერიან!..

და როგორი შინაარსისაა ეს მათი სიმღერა (უკაცრავად, ლანძღვა-გინება) მკითხველმა უკვე დაინახა...

აქ არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ როგორ მოექცა „კვალი" „ფხას" და „მოსკოველ ვაჭარს" და რანაირ თაიგულებით შემკული სიტყვა-დაცინვა შესთავაზა მათ!

აღვნიშნავ მხოლოდ იმას, თუ რა ზრდილობიანად ექცევა ბ-ნი ჟორდანია და მისი „კვალი" მისდა მოწინააღმდეგეთ: „ჩიორას" „ლალს", კიტა აბაშიძეს, „ვ. წ."-ს და „ახალ მოსულს".

„ჩიორა" „კვალის" რეკომენდაციით „ავლაბარში გაზრდილი მწერალია" „ავლაბრული ლანძღვა-გინების უსტაბაშია" (იხ. „კვალის" მე-11 №, 1900 წ.). ამასაც არ დაჯერდა „კვალი" — ეს ლიტერატურულ ზნეობასიფაქიზის დარაჯი, რომელიც ყოველივე სუსხიან და მკაცრ სიტყვას ნ. ჟორდანიის წინააღმდეგ ნათქვამს „ბოროტებად და სისაძაგლედ" სთვლის. მან „ჩიორას" პირადობას, კერძო ხელობას, ასე წარმოიდგინეთ, მის ფიზიკურ აგებულობასაც შეეხო და თავის „კვირიდგან კვირემდეს" სასაცილოდ და სამასხროდ აიგდო...

სმენა იყოს და გაგონება:

„ბატონო ჩემო, გუშინ წინ რაღაც საქმეზე ავლაბარში გახლდით. ეს პირველი იყო ჩემი იქ ყოფნა და, რაღა ბევრი გავაგრძელო, „დავიბენი"; გზის საკითხავად ერთს სირაჯხანაში შევუხვიე. გუდაზე „ივერიის" ერთი ნომერი დივინაზე დაგდებული და ცოტა არ იყო მეუცხოვა. — გაზეთს იწერთ თქვენ? შევეკითხე პატრონს. — არა, ერთი დღეს დილით ჩემმა ძმა-ბიჭმა მომიტანა, წაიკითხეო, ბევრი ამბავია შიგო. ის იყო კიდევ უნდა მეკითხა რაღაც, რომ ვიღაც შემოვიდა და მას ბაასი გაუმართა. — რა ქენი გეურქ, ხომ წაიკითხე? — ვა, წავიკითხამდი მაშ არა? — მოგეწონა არა, გეურქჯან? — მომეწონა რომელია, ისეთი რამ ჩემს დღეში არ წამიკითხამს, სწორედ სახჩვენოა, რაღა! შენ ერთი ეს მითხარი, ვინ წერამს ამ გაზეთსა? — კაცო აკი გითხარი ერთხელ... — არა არ გითქვამს. — არ გახსოვს აი ის, დაბალ-დაბალი. მე რომ „პოვერენიეთ" მყავდა, ვანქის უბნელი? — ჰო, სწორედ ის. — განა ის გაზეთსაც სწერამს? — გაზეთი რომელია, იმოდენა „პროშენია" დამიწერა და გაზეთს ვერ დასწერამს? — არა, მე კი არ მჯერადა... — ვა, როგორ არა გჯერა, თითონ მითხრა, მე უბრალო არ გეგონოვო, მე გაზეთის „დელეხტორი" ვარო... — რომელია აქ მისი დაწერილი? (გადმოიღებს ნომერს და უჩვენებს — „სახელდახელო", „პასუხი კვალს", „ახალი ამბავი") — სულ ერთიანად, რაღა. — ვა, ვა, ვა!.. (იხ. „კვალი" № 11, 1900 წლისა").

როგორ მოგწონთ, ბატონებო, ეს ვითომც ოხუნჯობა, მაგრამ პირდაპირ-კი მოწინააღმდეგის პირადობის შეხება, ლანძღვა და დაცინვა? როგორ მოგწონთ თვით მანერა და ფორმა პოლემიკისა.

როგორ მოგწონთ „ეს ქუჩური კილოთი და სიტყვებით" (რასაც სდევნის „კვალი!.), ადამიანის კერძო, პირად საქმეებში გარევა? რა სახელი უნდა უწოდოთ ასეთს საქციელს, თუ არ „ლიტერატურული უზრდელობა" (ასეთს უზრდელობას „კვალი" დიდი ხანია დასტირის!..)? ერთი მითხარით, ლიტერატურულ პოლემიკაში, რა გასარევია მოწინააღმდეგე რა ხელობისაა, რას აკეთებს, ვინა ჰყავს ნაცნობი, როგორის ტანისაა და ფერისაა, ან სადა სცხოვრობს?!.

ეს არის „პრინციპიალურ ნიადაგზე აზრთა შეჯახება, სიმართლის გამოაშკარავება, შეცდომის ნათლად დანახვება?" („კვალის" სიტყვებია). თითონ „კვალი" არ ამბობს, „რომ პოლემიკასაც აქვს თავის კანონები, მასაც აქვს საზღვარი, სამწერლო ეთიკა. არ გაძლევთ ნებას პოლემიკა გინებად გარდაქციოთ (მით უმეტეს მასხარაობად, დავუმატებ ჩემის მხრივ); ლიტერატურული ზრდილობა ყოველს შემთხვევაში დაცული უნდა იყოს და ვინც ამას არ მისდევს, მას თავისი სახელი დაერქმევაო"? აწ რა სახელი დავარქვათ „კვალს" და მის თანამშრომლებს, რომლებმაც „ჩიორასთან" პოლემიკაში ლიტერატურული ზრდილობა დაარღვიეს?

„სიტყვა-სიტყვაა, საქმე-კი სხვააო" სთქვა პოეტმა... სიტყვით ბევრს არახუნებს „კვალი" და მისი თანამშრომელი; ზნეობის, ეთიკისა და ლიტერატურულ ზრდილობის ბევრს რეცეპტებს სწერენ, მაგრამ თითონ არა სარგებლობენ ამ რეცეპტებით...

იპ. ვართაგავა

(დასასრული იქმნება)

დია. აგერ უკანასკნელი თვეც გადის გაზაფხულისა და მზე ორჯერაც არ დაგვინახავს. მეტის-მეტი უამინდობის გამო ჭეჭილები ძლიერ იგვიანებს. 17 და 18 მაისს სეტყვა მოვიდა, რომელმაც თითქმის თითო საათი გასტანა და საკმაოდ დაზიანა როგორც ჭეჭილები, ისე ვენახები. ხალხი ძლიერ შეშინებულია, რადგან კარგად ახსოვს შარშანდელი უბედურება სეტყვისაგან და ლამის ხელი აიღებინოს მუშაობაზედ. 20 წელიწადზედ მეტი იქნება, რაც მოხისში ახალი ეკკლესია ააგეს და დღემდის გალავანი არა ჰქონდა; შინაური პირუტყვი წამ და უწუმ ეკკლესიის კარებზე სძოვდა, რადგან იქ კარგი ბალახი იცის, და იქაურობა სულ მოსვრილი იყო. შარშან ამ ეკკლესიას შემოავლეს ქვითკირის გალავანი, მაგრამ რაკი ეკკლესიას სულ სწორი ადგილები არ უჭირავს, რამდენიმე ნაწილი ეკკლესიის ადგილისა გალავანს გარეთ დარჩა. ამით ისარგებლა ამ სოფლის დროებით მცხოვრებმა აზ. ალ. დ.—შვილმა და მოინდომა გადმორჩენილ ადგილების დასაკუთრება და ღობის შემოვლება. როცა მან მარგილები შემოავლო ამ ადგილს, ხალხმა მოიყარა თავი, მივიდა და სთხოვა, რომ ეს მამული ეკკლესიას ეკუთვნის, რასაც ჰმოწმობს სამანი, და ტყუილად საქმეს ნუ გაგვიხლართავთო. მაგრამ როცა ხალხი თხოვნით ვერას გახდა, მივიდნენ ერთად (კომლზედ კაცი), დაუგლიჯეს მარგილები და გადაჰყარეს. ამ დროს კინაღამ სისხლი დაიღვარა. ასეთი ქცევა ხალხისა, რასაკვირველია, არ არის მოსაწონი, მაგრამ ძლიერ საკვირველია ბ-ნ დ—შვილის მხრით როცა იცის, რომ მამული ეკკლესიას ეკუთვნის და ტყუილად იჩემებს. ეკკლესია და მისდამი კუთვნილი ადგილები მღვდელმა უნდა დაიცვას და არა ხალხის ბრბოს მაინდოს ასეთი საქმები, მაგრამ აქ-კი წინააღმდეგს ვხედავთ.

დამსწრე.

### მოწონებული და დაჯილდოვებული სალეწ-სანიავებელი მანქანა „კავკასია“

წარსულს კვირაში ლაპარაკი მქონდა ერთს აქაურ მცხოვრებ ივანე სტეფანესძე მამაჯასოვთან, რომელიც ცნობილია ქუთაისის გუბერნიაში მის მიერ გამოგონილ სალეწ-სანიავებელი მანქანით. როგორც მითხრა, მანქანის გასავრცელებლად საჭირო თანხის უქონლობის გამო მსურს ვისმეს მივყიდო პრივილეგია, ან შევუამხანაგდე ისეთ კაცს, რომელსაც თავისუფალი თანხა ექნებაო.

ამ მანქანას ათის საათის განმავლობაში გამოჰყავს 400 ფუთი ხორბალი და 800 ფუთი საუკეთესო ბზე; დაუბრკოლებლად ჰლეწავს აკდარშიაც, სველის პურის ძნებსაც. მანქანის მოძრაობაში მოსაყვანად საჭიროა 6 ძალა (წყლისა ანუ ორთქლისა); მუშაობის დროს სჭირდება ექვსი კაცი: სამი—ძნის მისაცემად და სამიც გაწმენდილ-განიავებულ ხორბლის და ბზის ასაკრეფად. მანქანა გამოსცადა და მოიწონა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისაგან დანიშნულმა ექსპერტიზამ 1896 წელს ქუთაისში; 1897 წელს ფინანსთა სამინისტრომ პრივილეგიის ღირსად სცნო ესევე მანქანა; 1899 წელს-კი ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ მიუსაჯა მას ჯილდოდ დიდი ვერცხლის მედალი. ამ მანქანის მხოლოდ ერთი ცალია გაკეთებული, რომელიც მუშაობს სოფ. ტყაჩირს თავად. თეიმურაზ გიორგის ძე აგიაშვილის მამულში. თუმცა მანქანა გაკეთებულია შინაურულად თვით გამომგონისაგან და არა ქარხანაში, ამისდამიუხედავად ეხლა ბევრად უკეთ ჰმოქმედობს, ვიდრე 1896 წელს ექსპერტიზის დროს. გამომგონის აზრით, თუ მანქანა ქარხანაში გაკეთდა, დაჯდება 500—600 მანეთად.

სასურველია, რომ ჩვენმა მემამულეებმა ყურადღება მიაქციონ ამ მანქანას და თავისის თვალით დარწმუნდნენ მის სიავ-კარგეს. ივნისის პირველი რიცხვებიდგან იმერეთში კიდეც დაიწყება პურის მკა და ლეწვა, რომელიც გასტანს ივლისის შუა რიცხვებამდე და ყველას შეუძლიან მანქანის ნახვა და გამოცდა.

ძლიერ კარგი იქნებოდა, ამ მანქანის პრივილეგია ვისმეს ჩვენგანს ეყიდა, რადგან, როგორც მეურნეთ, ჩვენ უფრო გვესაჭიროება ის, თორემ, თუ ვისმეს უცხო-ქვეყნელს ჩაუვარდა ხელში, თითონ ბევრს ისარგებლებს და ჩვენ-კი ტყავს გაგვაძრობს, ისე ასწევს მანქანის ფასს. ადვილად შეიძლება, თუ ერთი ვერ შესძლებს, ხუთი, ექვსი, თუნდა ათი მემამულე შეამხანაგდეს და იყიდონ პრივილეგია. მანქანა, ჩემის აზრით, ძლიერ მალე გავრცელდება, რადგან ყველა საზოგადოება შეიძენს მას, თუ იმერეთში არა, სადაც ნაკლებად მისდევენ პურის თესვას, ქართლ-კახეთში მაინც-აგრეთვე, რასაკვირველია, სხვა მხარეებშიაც შეიძენნენ, სადაც-კი პურის თესვას მისდევენ.

ამხანაგი

## უცხოეთი

**პალესტინა.** „ნოვოე ვრემიაში“ გადმობეჭდილია „ბიზანტიონის“ კორესპონდენტის მიერ შეკრებილი საინტერესო ცნობები პალესტინაში ებრაელების გადასახლების შესახებ. კორესპონდენტის სიტყვით, „პალესტინაში ისეთის სისწრაფით ესახლებიან ებრაელები, რომ არ გაივლის 50 წელიწადი და თავიანთი ძველი სამეფო სულ თითონ ექმნებათ დაჭერილი. იერუსალიმსა და იაფაში დიდი ხნის განმავლობაში ებრაელებს ეჭირათ რამდენიმე უმნიშვნელო ადგილი, როგორც ევროპის ქალაქებშია, მაგრამ უკანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში მათი რიცხვი 200,000 კაცამდე ავიდა იერუსალიმსა, სეფედასა, ტიბერიასა იაფასა და მათ მიდამოებში. რაღაც სტიხიური ძალა იზიდავს მათ ყველა კუთხიდგან ამ ქვეყანაში, სადაც ქრისტიანი არაბები და სირიელები მათთან ბრძოლას ვერ ასერხებენ, მათვე უტოვებენ მცირე ფასად თავიანთ საცხოვრებელს და თითონ-კი შორდებიან. ებრაელები სახლდებიან ცალ-ცალკე თემობით, იმისდა მიუხედავად, თუ საიდგან არიან გადმოსახლებული. ესპანიისა და პორტუგალიის ებრაელთა შთამომავალნი, რომელთაც სეფარადინები ეწოდებათ, მიდიან პალესტინაში კონსტანტინეპოლიდგან, სმირნიდგან და ოსმალეთის სხვა ქალაქებიდგან, აგრეთვე რუმინიიდგან და ბოლგარიიდგან. ისინი ლაპარაკობენ გადამახინჯებულ ესპანურ ჟარგონზე. იმ ებრაელებს, რომელნიც მიდიან რუსეთიდგან, გალიციიდგან, უნგრეთიდგან და გერმანიიდგან, აშკენაზები ეწოდებათ, და ლაპარაკობენ გადამახინჯებულ ნემეცურ ენაზე. არიან აგრეთვე მისული სპარსეთისა, ბუხარის, ავღანისტანისა, ალჟირისა და ტუნისის ებრაელები, რომელნიც ლაპარაკობენ სპარსულს, თურქულს და არაბულს ენებზედ.

„მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ენით, ტანთ-საცმელით და სახით, ისინი მჭიდროთ არიან ერთმანეთთან შეკავშირებული სულის კვეთებით, მმართველობით და ურთიერთ შორის დამხმარებელ სხვა და-სხვა საზოგადოებებით. საზოგადოებათ გულუხვად ეძლევათ ფული იმ ამხანაგობისაგან, რომელიც ბარონ გირშმა დაარსა და 20 მილიონი ფრანკი გადასცა შიგ. ლონდონელმა, პარიჟელმა, ვენელმა და ფრანკფურტელმა როტშილდებმა 40 მილიონი ფრანკი გადასდეს, რათა ხელი შეუწყონ ებრაელების დასახლებას პალესტინაში. ევროპის ამ ყოვლად ძლიერ კაცებს აზრად აქვთ მიწის მუშაობას შეაჩვიონ ებრაელები. არაბები და სირიელები უბრალო შავ მუშებად გადაიქცნენ და, მოსალოდნელია, ებრაული სარწმუნოებაც ჩქარა მიიღონ, რადგან მათ ბატონობის ქვეშ იმყოფებიან. ადგილ-მამულ დაკარგულ და ეკონომიურად დამონავებულ არაბებისა და სირიელების მდგომარეობა პალესტინაში არაფრით არ განსხვავდება ავსტრალიის პაპუასებისა და აფრიკის ზანგების მდგომარეობისაგან“.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 მაისი

**ლორენცო-მარკეზი.** როგორც ისმის, ბურებს უნდოდათ დაბანაკებულიყვნენ გატერლესთან, პრეტორიიდგან 12 მილის მანძილზედ, რომ დრო მოეგოთ. ტყვე-ინგლისელები, ბურებმა ნოვიტგედახტში წაიყვანეს, ელანდის ველში, სადაც ცუდი ჰაერია. 1000 ტყვე მიიყვანეს იქ. სდარაჯობს ამ ტყვეებს 250 ბური.

**ლონდონი.** ლინდლეისთან 19 მაისს მომხდარ ბრძოლაში ინგლისელებს მოუკლეს 2 აფიცერი, 16 ჯარის-კაცი, დაუჭრეს 4 აფიცერი და 25 ჯარის-კაცი. დეპეშა არაფერს იუწყება უკვალოდ დაკარგულთა შესახებ.

**ლონდონი.** არაფერი ისმის სახელმწიფოთა ნოტის შესახებ ჩინეთში. პეკინსა და ტიან-ძინში მყოფ ელჩებს მოლაპარაკება აქვთ იმ ზომების შესახებ, რომლის მიღებაც საჭიროა უცხო-ქვეყნელთა ცხოვრებისა და ქონების დასაცველად. მოლაპარაკებაში ესკადრების უფროსებიც იღებენ მონაწილეობას.

**ბერლინი.** ესკადრის უფროსმა ბრძანება მიიღო, გაჰგზავნოს რაზმი ტიან-ძინში და მოელაპარაკოს სხვა სახელმწიფოთა ესკადრების უფროსებს ევროპიელთა დასაცველად მისაღებ ზომების შესახებ.

**პეკინი.** ორი დღეა ტიან-ძინიდგან ფოსტა არ მოსულა. მოლაპარაკება ჰქონდათ ელჩებს.

**ტიან-ძინი.** ორშაბათიდგან პეკინსა და ტიან-ძინს შორის მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია. ჰფიქრობენ, უწესოების მოსასპობლად, საჭიროა სახელმწიფოებმა იკისრონ რკინის გზების თვალ-ყურის დევნა იმ დრომდე, ვიდრე ჩინეთი შესძლებს თვით მოუაროს გზებს. „რეიტ. სააგენტოს“ კორესპონდენტმა ტაშში ასეთი წარწერები ჰნახა: „სიკვდილი უცხო-ქვეყნელთ“. რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად მდებარე ყველა სოფელს ცეცხლი ეკიდა. უნახავთ ხუთის ევროპიელისა და ორის ჩინელის გვამი. განცხადებაა გამოკრული „დიდის მუშტისა“, რომ მომავალ შაბათს ყველა უცხოელებს ამოვწყვეტავთო.

**ბერლინი.** საიმპერიო სეიმმა მიიღო ყველა პროექტი ფლოტის შესახებ.

**პარიჟი.** მოვიდა შვეციის მეფე ოსკარი. მეფეს პრეზიდენტი მიეგება.

**მეფკინგი.** 15 მაისს პლუმერმა ზეერუსტი დაიჭირა. წინააღმდეგობა იმისთვის არავის გაუწევია.

**კემპბელლი.** უორენი ფაბერსპრუიტიდგან მოვიდა და კემპბელი დაიჭირა. წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

**ლორენცო-მარკეზი.** ჰოლანდიის გემ „ფრისლანდზედ“ 100 გამოქცეული ჰოლანდიელია. ერთი კორესპონდენტი იუწყება თავისს ნალაპარაკევს კრიუგერსა და რეიცთან მახაროდორპში. კრიუგერს უთქვამს, რომ პრეტორიის დაჭერა ომის დასრულებას არა ნიშნავსო. ბურებმა გადაწყვიტეს ბოლომდე იბრძოლონ, იბრძოლონ იმ დრომდე, ვიდრე ტრანსვაალში 500 შეიარაღებული კაცი მაინც იქმნებაო. „რესპუბლიკის სატახტო ქალაქი აქ არის,—უთქვამს კრიუგერს. მტერი შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ დაპყრობით არ დაუპყრია. მთავრობა ჯერ ძალაშია. ტყუილია ვითომ ორი მილიონი ოქრო მიმქონდეს თან: ფული, რაც კი მაქვს, სახელმწიფოს საჭიროებას ვახმარებ. არა მაქვს აზრად არც ის, ლორენცო-მარკეზეში გემში ჩავჯდე. მე არ გავალ სამშობლოდგან. ეხლა იწყობა ნამდვილი ბრძოლა. ვშიშობ, რომ ბევრი სისხლი დაიღვრება, მაგრამ ბრალი ინგლისის მთავრობას დაედება“. ბურები უთუოდ ლეიდენბურგში წავლენ, სადაც შეეძლებათ რამდენიმე თვე გაუმაგრდნენ ინგლისელებს.

**ტიან ძინი.** ტიან-ძინიდგან 20 მილის მანძილზე, პეკინის მხარეს, ბრძოლაა ჩინელებსა და „დიდ მუშტს შორის. გუშინ შეტაკება მოხდა ტაკუში მიმავალ გზაზედ.

**პეკინი.** ჩინეთის ჯარები დამარცხდნენ პასტინთან. საფრანგეთის ორი გემი და რუსეთის „როსსია“ მივიდნენ ტაკუს.

**ვარშავა.** მობრძანდა სპარსეთის შაჰი, რომელსაც რკინის გზის სადგურზე მიეგებნენ თავადი იმერეტინსკი და უფროსო მოხელენი. შაჰი წაბრძანდა ლაზენკოვსკის სასახლეში. ქალაქი მორთულია სპარსულის ბაირაღებით.

**გლაზგო.** კემპბელ ბანნერმანმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა დამყარებული უნდა იქმნას კავშირ ახალშენის მცხოვრებთა ორთავე ეროვნების—ინგლისელებისა და ჰოლანდიელების მოსაზრებაზედაო. დაპყრობილი სახელმწიფოები იმპერიას უნდა ეკუთვნოდნენ; მაგრამ, როცა თავისს უფლებას სავსებით დაამყარებს, ინგლისი უნდა ეცადოს შერიგებას და ახალ ახალშენებისათვის თვითმართველობის მინიჭებას, რომლითაც დანარჩენი ახალშენებიც სარგებლობენო.

**ლორენცო-მარკეზი.** ამერიკის ელჩი დაბრუნდა აქ მახადოდორპიდგან, სადაც საუბარი ჰქონდა კრიუგერთან და აუწყა მას ამერიკის მთავრობის მეგობრული რჩევა იმის შესახებ, რომ კრიუგერი შეუდგეს სამშვიდობო მოლაპარაკებას.

**ტიან ძინი.** რკინის გზით მიმოსვლა ტიან ძინსა და პეკინს შუა აღდგენილია. მთავრობამ ნება არ დართო ინგლისელებს თავიანთი ჯარი გაეგზავნათ რკინის გზით, თუმცა ინგლისელები ჰპირდებოდნენ მთავრობას, რომ რკინის გზის ლიანდაგს აღვადგენთ თქვენის სურვილის თანახმადაო.

**პეკინი.** ცუნგ-ლი-იამენმა განაცხადა, რომ რკინის გზით მიმოსვლა დაიწყობა შაბათსაო. იგი წინააღუდგა ინგლისის დანარჩენ ჯარის-კაცთა გადაყვანას ნაპირზე. გამოცხადებულია, ვითომც ინგლისის ზღვაოსანნი მეტნი იყვნენ, ვიდრე ზღვაოსანნი ყველა დანარჩენ სახელმწიფოებისა.

**პეტერბურგი.** 26 მაისს საბერძნეთიდგან მობრძანდა ელინთა დედოფალი, რომელსაც თან ახლავს ბატონის შვილი ქრისტეფორე.

## განცხადებანი


### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ, იმის თანადასწრებით, 1 ივნისს 1900 წელს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება

### საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა კახეთისა და ლაზარევის ქუჩების მოკირწყვლის საქმე. სულ მოსაკირწყლავია 1100 ოთხ-კ. ს. ე., 2750 მანეთისა.

ვისაც ვაჭრობა ჰსურს, შეუძლიან პირობანი გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გაიგოს ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9—დგან 3 საათამდე. 3—6.—1)

### ახალი სტამბა
მიხეილ გაჩეჩილაძისა
### დ. ყვირილაში

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს გასაკეთებლად და ჰკისრულობს მათ შესრულებას სუფთადა და სწრაფად. სტამბასთან არის წიგნებისა და კანცელარიის ნივთეულობის მაღაზია და წიგნების საკაზმავი სახელოსნო. ფასები ზომიერია. (7—6—5).


Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Мая 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე